პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 93 (7404)

17 1983 წ. მაისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ბარეჯობა“ — დიდი და ნათელი დღესასწაული

ქართველ ხალხს წარსულში ბევრი დღესასწაული და რიტუალი ჰქონდა. ისინი იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდნენ და შუასაუკუნეებიდან ხალხს საოფლისმოვლისებრივ და სოციალურ მოთხოვნებს. ზოგიერთმა მათგანმა დღესაც შეინარჩუნა ცხოველქმოფელი ძალა, ზოგმა კი ჩვენამდე მხოლოდ ინერციით მოაღწია, დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა და ჩვენს დროში ანაქრონიზმად იქცა. ისინი უკვე ნეგატიურად მოქმედებენ თანამედროვეობა (ცხოვრებაზე, ამახნევებენ ზოგიერთ მიმნდობი ადამიანის ფსიქიკას. სწორედ ამგვარ მავნე ტრადიციებთან და რიტუალებთან საბრძოლველად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ვ. კ. **ზარეგანმ**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. **გურგენიძემ**, რესპუბლიკის მინისტრებმა და უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა.

...15 მაისს, დილით, ჩინარიატიოს „ოქ„თან მიღეთის ხალხმა მოიყარა თავი. თვალს ახარებდა ამა-ამ დადგმული კოხტა სახლები, რომლებშიც საქართველოს ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო მოსპარეულ ნივთები და საგნები იყო გამოფენილი. მაგრამ ხალხს ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იყო „ოქ„ის ახლოს მდებარე თეატრონისაკენ, რომლის სცენაზე საზეიმო კონცერტი უნდა დაწყებულიყო. იგი გახსნეს საგარეჯოს სარაიონო კულტურის სახლის მომღერალებმა და მოცეკვეებმა. შემდეგ თავიანთი ხელოვნებაა „ჩ„ენების განაცხადეს სოფლებისა: ომალოს, გოსტიბეს, ტანძის, ჭირემის, წერაქვის, საბთაწყაროს, არხოტის, ასანძის რაიონის სოფლების და, რა თქმა უნდა, უდაბნოს წარმომადგენლებმა, ადგილი თბილისიდან მიწვეულმა სტუმრებმა.

აბა, რა ზეიმი იქნებოდა სპორტის გარეშე? აქ შეჯრებილნი თავისებურებურად გადაიკვეხენ მოლაშქრეებად. მათ დაეთი გარეჯის ლომელმან გაიარეს 5 კილომეტრიანი მანძილი.

ჩაატარა ერთგვარი ალპინიადაც — ზეიმის ბევრი მონაწილე მონდომებით (ცდილობდა საკმაოდ მაღალ ბორცვზე მდებარე ჩინარატრის „ოქ„ის დალაშქვრას. თავიანთი ოატრება ოჩეკინეს ცხენოსნებმა. ქართული ჭიდაობის გარეშე დღესასწაულს ხომ ლაზათი არ ეჭნებოდა! ჭიდაობა, ძველებური, მართლაც ეროვნული წესით მიმდინარეობდა: წრეში გადიოდა ფალავანი და ფწვევდა მეტოქეს, ინტერესს აორეციებდა ისიც, რომ ბრძოლების როლს სახელგანთქმული ფალავნები ლ. თეიდოშვილი, გ. ონაშვილი, ტ. ოოსტრომაველი და სხვები ასრულებდნენ. „ულოვრესია ფიზიკური შეჯიბრება თვალტონის სცენაზე, გიმბართა. საფარეჯოელმა გ. ბოსიტაშვილმა ქულებით დამბარცხა ეეროვნულმოსილი ზ. ოოსტიანეველი. დამარცხებულმა გული არ ვალეხა, მჭიბნეზე მჭიბნი არ დიიღვანო, — თქვა, ხოლო გამარჯვებულს ასეთი ენობანი მოეჩიდა: „ეეთ ოოსტიანეველ მოპოოვებულმა წარმატებამ ფრთები შეასხა...

წლეეანდელმა „ბარეჯობამ“, რომელიც ეეროვნეეულის ტრაკტატის 200 წლისთავს მიეძღვნა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ზეიმის მონაწილეებზე. ძნელი არ იყო გამოეკითხთ დასკვნა: ასეთ, ეეიშარატად სახალხო დღესასწაულებს დღეგრძელობა უწერია.

ბ. ბოჩორეშვილი.

„ლელოს“ ხეიც. კორ.

* * *

ს ო ო ბ ე ბ ზ ე: 15 მაისს, **გ ა ნ ო ბ ა ზ ე...**



სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები

უკვე გამოვლინდნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები. ესენი არიან მძლეოსნობის ერთ-ერთი ეროვნული სახეობის, მართონელი რბენის წარმომადგენლები. ქალთა შორის, რომლებიც წელეული პირველად გამოდიოდნენ ამ სახეობაში, გაიმარჯვა ალმაათელმა მასწავლებელმა **ზოია ივანოვამ** — 2:36.31. თუმცა ეს შედეგი ჩამორჩება მისივე საკავშირო მიღწევას (2:34,26), მაგრამ სპარობის მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ნორმატივს, რაც მძლეოსანთა მსოფლიო პირველ ჩემპიონატში (ჰელსინკი, აგვისტო) მონაწილეობის უფლებას იძლევა.

ეიფთა შორის ულელს ოჯობა ივანოვოს ოლეს ფიზკულტურის ინსტიტუტორმა **იური პლეშკოვმა** — 2:15.22.

ქალთა შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა **ლ. პოგრებნაია**, რომელმაც შედეგით 2:58.08 მე-19 ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის ქალთა ყუდამის პირველი 6 ქმელ მოეტანა, სამწუხაროდ, თავის შესაძლებლობათან შედარებით გაცილებით უარესად იასპარეზა ი. ეიკულო

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობას — შეუნელებელი ზრუნვა!

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

სიტყვა თქვენზეა, ახალგაზრდებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების თაობაზე ფიზკულტურული კოლექტივების სამოქმედო პროგრამა გახდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან კოლექტივები, რომლებიც ფაქტობრივად არაფერს აკეთებენ ამ დადგენილების განსახორციელებლად, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამის დასტურია გულისტკივილით აღსავსე ბარათები, რომლებსაც ისინი გვიგზავნიან. ერთ-ერთმა მათგანმა ამას წინათ გზად გვიხმო.

შეხვედრა „ვაი სტადიონთან"

წითელწყაროს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ყოჩიაშვილთან ერთად სოფელ ჯაფარიძეში მიგვეჩქარება. დაღამებამდე გვინდა ავასწროთ.

მანქანამ მარჯვნივ აუხვია და გზის პირას აკაციების ჩრდილში გაჩერდა, აი ისიც, „ვაი სტადიონი", გუმანით ვხვდებით, რომ ეს წერილში აღწერილი ფეხბურთის მოედანია. ორივე მხარეს სალებავშემოცლილი რკინის ძელებია, შემოუღობავ მოედანზე მანქანის ნაფეხურები და ოღროჩოღრო ადგილები ჩანს. იქვე ახლოს კი ძოვენ ცხვრები. ისინი ნელ-ნელა მოედნისკენ მოიწევენ. მაშინვე თვალწინ დაგვიდგა ჯაფარიძელი ახალგაზრდების მიერ რედაქციაში გამოგზავნილ წერილში აღწერილი სურათი: „გული სინანულით გვევსება, როცა ვხედავთ უპატრონოდ მიტოვებულ ფეხბურთის მოედანზე რა გულიანად შეექცევიან ძროხები, ცხვრები ნამიან ბალახს, და გვეჩვენება, რომ ეს ნამი კი არა, ჩვენი „ვაი სტადიონის" ცრემლებია, სიმწრისაგან მოდენილი".

ფაქტი უდაოა, მაგრამ გაგვაოცა იმან, რომ გაზაფხულის ამ მშვენიერ საღამოს ფეხბურთის მოედანზე კაცის ჭაჭანება არ იყო...

პასიური მეთოდისტი და აუთვისებელი თანხები

ჯაფარიძელთა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი) სასახელო გარჯის შესახებ მრავალჯერ წაგვიკითხავს პრესის ფურცლებზე. კოლმეურნეობის კოლექტივს არც შარშან შეურცხვენია თავი — წარმატებით გაანაღდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვის გეგმები. მდიდარ კოლმეურნეობას შესაძლებლობებიც დიდი აქვს: კულტურის სახლი, სოფლის პროფტექნიკური სასწავლებელი, ამბულატორია, ორი სასურსათო და ერთ სამრეწველო მაღაზია, აბანო და სხვ. ძნელი დასაჯერებელიც კი იყო უსახელო ავტორის მონათხრობი, რომ სოფელში სპორტული ბაზები არ არის და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ჩაშლილიაო. ადგილზე შემოწმებით, სამწუხაროდ, ფაქტები დადასტურდა.

როგორც კოლმეურნეობაში გვითხრეს, აქ 700-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, რომელთა თითქმის ნახევარი ახალგაზრდაა. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ კოლმეურნეობის პროფკავშირულ ორგანიზაციას (თავმჯდომარე თ. ზურაშვილი) შარშან და შარშანწინ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობისა და სპორტული ინვენტარისათვის 1100-1100 მანეთი გამოუყო. წლეულს ის თანხები 1300-1300 მანეთამდე გაიზარდა, მაგრამ, როგორც გასულ წლებში, ისე ამჯერადაც, ამ სახსრებიდან მანეთიც არ გახარჯულა. ამაში, ალბათ, ყველაზე დიდი ბრალი კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტს ოთარ სისაურს მიუძღვის. მისი პასიურობა და ინერტულობა რომ არა, ამ თანხებსაც აითვისებდნენ, კეთილმოწყობილი ბაზებიც ექნებოდათ და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობაც არ ჩაიშლებოდა. მეთოდისტის პასიურობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში არ ჩატარებულა არც ერთი შიდასაკოლექტივო პირველობა, არ მომზადებულა არც ერთი მშთ-ს ნიშნოსანი. შარშან „კოლმეურნეს" რაისაბჭოს სპარტაკიადაზე სტიქიურად შეკრებილი გუნდებით იასპარეზეს, ამიტომ იყო 16 კოლექტივს შორის საერთო გუნდურ მე-9 ადგილზე რომ გავიდნენ.

ჯაფარიძელთა ფიზკულტურულ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები აქაური პარტიული (კომიტეტის მდივანი ნ. ტალიაშვილი), პროფკავშირული და კომკავშირული (კომიტეტის მდივანი გ. ბენაშვილი) ორგანიზაციების მხრივ სუსტი კონტროლის ბრალიცაა. აქვე ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ჯაფარიძელთა ფიზიკურ წრთობასა და სპორტული ბაზების მოწყობისათვის არც სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე მ. ღეკაშვილი) იწუხებს თავს. ამის დასტურად მოვიყვანთ ერთ ფაქტს: რაიონში უკვე მეექვსე წელია თამაშდება რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული გარდამავალი პრიზი სასოფლო საბჭოებს შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის (მასში შედის როგორც კოლმეურნეობების, ისე სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა) უკეთ წარმართვისათვის. ამ საპატიო პრიზისათვის ბრძოლაში შარშან ჯაფარიძის სასოფლო საბჭომ 11 კოლექტივს შორის მე-10 ადგილი (!) დაიკავა.

რა არის მშთ, ანუ ვის ჭირდება ქაღალდზე შესრულებული გეგმები?

ზემოთ გულისტკივილით აღვნიშნეთ, რომ კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია. მასობრივ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისათვის კი ყოველგვარი პირობა არსებობს. სოფლად ახალგაზრდობა მრავლადაა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ნიკო ყოჩიაშვილის ინიციატივით ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელში გაიხსნა პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელშიც დღეისათვის 336 მოსწავლე სწავლობს. შეიძლებოდა მჭიდრო კონტაქტების დამყარება სასწავლებლისა და სოფლის ახალგაზრდობას შორის, მაგრამ... როგორც აღმოჩნდა, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა არც სასწავლებელშია სათანადოდ გაშლილი, თუ ქაღალდებს დავუჯერებთ, შარშან აქ უმუშავნია 8 სპორტულ სექციას, რომლებშიც 296 (!) მოსწავლე ყოფილა გაერთიანებული, თუმცა, არც ერთ სექციას არა აქვს შედგენილი მუშაობის გრაფიკი და არც მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალი გააჩნია. ასევე ქაღალდებზეა შესრულებული თანრიგოსანთა და მშთ-ს ნიშნოსანთა მომზადების გეგმები. მაგალითად, შარშან მშთ-ს ნორმატივები ჩაუბარებია 199 მოსწავლეს, რომელთაგან 56-მა მშთ-ს თანრიგი დაიმსახურა, ხოლო მასობრივი თანრიგები 312 მოსწავლისთვის (სასწავლებლის კონტინგენტი კი 358 კაცს შეადგენდა) მიუნიჭებიათ, ეს მაშინ, როცა ჯგუფებს შორის მხოლოდ ფრენბურთში ჩაუტარებიათ შიდასაკოლექტივო პირველობა და ფეხბურთელებს რაიონულ შეჯიბრებაზე მიუღიათ მონაწილეობა.

როცა სასწავლებლის ტერიტორიაზე არსებულ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს ვათვალიერებდით (იმ დღეს სპორტული სარბიელი... გუთანსა და სათეს მანქანას ჰქონდა დათმობილი), ქალიშვილები და ჭაბუკები შემოგვეხვივნენ. როცა სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჰკითხა, მშთ-ს ნორმატივები თუ გაქვთ ჩაბარებულიო, ერთ-ერთმა მეორეკურსელმა სრულიად გულწრფელად გაიკვირვა. „მშთ რაღა არის?" ეს ფაქტი იმის უტყუარი საბუთია, რომ სასწავლებელში (დირექტორი მ. პოპიაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. კირვალიძე), მოსწავლეები არა თუ არ აბარებენ მშთ-ს ნორმატივებს, არამედ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ მასზე, რადგან აგიტაციას არავინ ეწევა და სასწავლებლისა თუ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე თვალსაჩინოებასაც ვერსად ნახავთ.

კიდევ ერთ მტკივნეულ ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. სასწავლებელს ერთი წლის წინათ ძველი საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი გადაეცა, მაგრამ იგი მოსწავლეებისათვის გამოუსადეგარია, რადგან ავარიულ მდგომარეობაშია. ეს მაშინ, როცა რაიონი ასე მწვავედ განიცდის ბაზების ნაკლებობას. უფრო მეტიც, როგორც გვითხრეს, რაიონის სპორტსკოლას არა აქვს საკუთარი სპორტული დარბაზი, იქვე, ახლოს მდებარე უზარმაზარი შენობა კი უყურადღებოდაა მიტოვებული. ერთი წლის მანძილზე რაიონში არავინ არ აღმოჩნდა მისი მშველელი.

ბოლოთქმა

წითელწყაროელი მშრომელები ერთ-ერთ მოწინავეთა შორის არიან რესპუბლიკაში. არც ფიზკულტურული და სპორტული მიღწევები აქვთ ურიგო, მაგრამ წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, სპორტული ბაზების სიმცირეს რომ არ განიცდიდნენ.

წითელწყაროსკენ მიმავალმა გზად ერთი არბოშიკელი ახალგაზრდა გავიცანი. როცა ჩემი ჩამოსვლის მიზეზი გაიგო, მითხრა: კარგს იზამთ მარტო ჯაფარიძეს კი არა, სხვა სოფლებსაც თუ ესტუმრებით, რადგან თითქმის ერთ დღეში ვართო.

არ ვიცი, იმ ახალგაზრდის სიტყვები რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ ჩვენი მივლინების დროს რაც ვნახეთ, იმით ძალზე გულნაკლულნი დავრჩით. ამიტომ მოხვდა ჩვენი ფოტოობიექტივის არეში ამდენი „კრიტიკული კადრი". რომ არაფერი ვთქვათ სოფლების სპორტულ ბაზებზე, თვით რაიონულ ცენტრშიც ერთი ხეირიანი მოედანიც კი არ არის, ფეხბურთის სტადიონი სავალალო მდგომარეობაშია. რაიონის ხელმძღვანელობამ წლების განმავლობაში ვერ მოახერხა სტადიონის ტრიბუნები შეეკეთებინა, ამიტომაც გულშემატკივრები ფეხზე მდგარნი უცქერენ სპორტულ პაექრობებს.

რადგანაც ჩვენი მივლინების ობიექტი ძირითადად ჯაფარიძის კოლმეურნეობა იყო, გვინდა ისევ მას დავუბრუნდეთ.

რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად ფეხბურთის მოედნის დათვალიერების შემდეგ სოფლის ცენტრისკენ გავწიეთ. კოლმეურნეობის გამგეობასთან მამაკაცებს მოეყარათ თავი. წერილი წავუკითხეთ.

— ეჰ, ჩემო კარგო, — თქვა ერთმა, — ჩვენმა ახალგაზრდებმა რაც წერა-კითხვა ისწავლეს, საქმეს ფაქტიურად აღარ აკეთებენ, თორემ ამ წერილს რედაქციაში გამოგზავნიდნენ? თვითონ არიან უსუსურები, მზამზარეულზე სურთ დავლურის დავლა, თორემ ჩვენს თავმჯდომარეზე უკეთესი მფარველი და დამხმარე ჩვენი ახალგაზრდებისთვის ვინღა იქნება.

ძნელია არ დაეთანხმო მათ.

ბატონო ნიკო! ამ კაცებმა ისიც თქვეს, რომ ფეხბურთის მოედანი სხვაგან გვქონდა, მაგრამ პატივცემული ნიკოს ინიციატივით სოფლის ცენტრთან ახლოს, თუთის სანერგეში გადმოვიტანეთო. ისიც გვითხრეს, თავმჯდომარემ შარშან ფიზკულტურის მეთოდისტსა და ახალგაზრდებს ურჩია ძველი ნავენახარიდან მესრები წამოეღოთ და მოედანი შემოეკავებინათ, მაგრამ ბიჭებს ხელის განძრევა დაეზარათო.

ერთი ადამიანი სოფელში მარტო ვერაფერს გახდება, თუკი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი ხალხი არ ამოუდგება გვერდით. არა, იმას ვერ ვიტყვით, ჯაფარიძელები თავიანთ ხელმძღვანელს მხარში არ უდგანან, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტსაც ხომ უნდა მიხედვა. სწორად აქაა საჭირო დარაზმულობა, სწორედ აქ უნდა თქვან თავიანთი სიტყვა ახალგაზრდებმა, ფიზკულტურელებმა, კომკავშირელებმა.

ვ. დანელია,
(„ლელოს" სპეც. კორ.).
წითელწყაროს რაიონი.

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: აი, ასე გამოიყურება წითელწყაროს ფეხბურთის სტადიონის ტრიბუნები; პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტული დარბაზის ერთ-ერთი კუთხე; აქვე სასწავლებლის სპორტული მოედანი... „სოფლტექნიკის" დასტა.

ავტორის ფოტოები.

„მთელი ბრიგადით — სტადიონზე!"

დღეს თბილისში, „დინამოს" სტადიონზე სტარტი მიეცემა დედაქალაქის საწარმოო ორგანიზაციების შრომითი ბრიგადების პირველ სპარტაკიადას, რომლის დევიზია „მთელი ბრიგადით — სტადიონზე!"

იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადნენ ქალაქის საწარმოო კოლექტივები ამ სპარტაკიადისთვის, გვესაუბრება თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ კიკნაველიძე:**

— თბილისის შრომითი ბრიგადების სპარტაკიადის ჩატარების მიზანია საწარმოო კოლექტივების ბრიგადებს შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის დათვალიერება. სპარტაკიადის ამოცანაა ხელი შეუწყოს ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას, აქტიური დასვენების პირობების შექმნას.

სპარტაკიადა დაიწყო 1982 წლის სექტემბერს და გრძელდება 1983 წლის 15 მაისამდე. იგი ტარდება სამ ეტაპად:

I ეტაპის მასობრივი შეჯიბრებები ჩატარდა 1983 წლის 15 აპრილამდე ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში, სადაც მონაწილეობდნენ საამქროების, უბნების, განყოფილებებისა და ქვედანაყოფების შრომითი ბრიგადები.

II ეტაპის შეჯიბრებებში (რაიონის სპარტაკიადა, 15-30 აპრილი) მონაწილეობდნენ I ეტაპში — ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებებში გამარჯვებული ბრიგადები.

III ეტაპის შეჯიბრებებში (საქალაქო სპარტაკიადა, 17-22 მაისი) მონაწილეობენ დედაქალაქის რაიონების სპარტაკიადებში გამარჯვებული ბრიგადები (თითოეული რაიონი საქალაქო სპარტაკიადაზე წარმოდგენილია ერთი ქალთა და ერთი მამაკაცთა ბრიგადით).

საქალაქო სპარტაკიადის პროგრამაშია ბაგირის გადაძალვა, სიმძიმეების აწევა, ბურთის კალათში გდება, ტანვარჯიშულ სკამზე მიზიდვა, ესტაფეტა 4X100 მეტრზე, სიგრძეზე ხტომა, ტყვიის სროლა, მინიფეხბურთი. სპარტაკიადაში მონაწილეობს დედაქალაქის ცხრავე რაიონის 18 გუნდი. თითოეულ სახეობაში გამარჯვებული ბრიგადა და მისი წევრები ჯილდოვდებიან პირველი ხარისხის დიპლომებით და სამახსოვრო თასით, II და III ადგილებზე გასული ბრიგადები და მათი წევრები — შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული ბრიგადა და მისი წევრები ჯილდოვდებიან სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლით, პირველი ხარისხის დიპლომებით, გარდამავალი თასით და ფასიანი საჩუქრებით, II და III ადგილებზე გასულნი—შესაბამისი ჯილდოებით.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ჯოხარიძემ.

მაშ, ასე, დღეს, 18 საათზე, თბილისის „დინამოს" სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება ქ. თბილისის საწარმოო ორგანიზაციების შრომითი ბრიგადების პირველი სპარტაკიადა, რომლის დევიზია „მთელი ბრიგადით — სტადიონზე!".

სპორტული კლუბების პირველობაზე

ჭიათურის სპორტკომბინატ „მაღაროელის" ბაზებზე ამას წინათ ჩატარდა „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს და სპორტსაზოგადოება „ტრუდის" პირველობა მშთ-ს მრავალჭიდში. პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდა სხვადასხვა რაიონის 8 ნაკრები გუნდის 72 სპორტსმენი. თავიდანვე დაწინაურდნენ სპორტკლუბ „ფოლადის" (რუსთავი) წარმომადგენლები და პირველი ადგილიც მათ დაიკავეს. მეორე ადგილზეა სპორტკლუბი „ენგური" (ზუგდიდი), მესამეზე— „პობედა" (თბილისი).

ვ. ლურსმანაშვილი,
(„ლელოს" კორ.)

დღეს ვენაში

დღეს ვენის „პრატერ-შტადიონზე" ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდება სსრ კავშირის გუნდს.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ავსტრიელები საკმაოდ უფერულად გამოვიდნენ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში, ამიტომ გადაყვეს ნაკრების მწვრთნელი ჯ. შტოტეი და მის ნაცვლად ამ პოსტზე მიიწვიეს სხვა ცნობილი სპეციალისტი ე. ჰოფი.

ერთ ჰოფი დაიბადა 1936 წელს, თავდამსხმელად თამაშობდა „ეინერ შპორტკლუბში", 1957-68 წლებში გამოდიოდა ავსტრიის ნაკრებში (38 მატჩი), შემდეგ მწვრთნელი გახდა.

დღეისთვის ავსტრიელები 4 თამაშიდან 7 ქულით დამაჯერებლად ლიდრობენ ევროპის ჩემპიონატის VI შესარჩევი ჯგუფში. მათ სძლიეს ალბანელებს (5:0), ჩრდ. ირლანდიელებს (2:0), უელსელებს (2:0), ფრედ (0:0) თამაშეს თავიანთ მთავარ მეტოქესთან, გფრ-ის ნაკრებთან. მაგრამ, მიანც უნდა ითქვას, მთავარი ბრძოლა ამ ჯგუფში ჯერ კიდევ წინაა. საქმე ისაა, რომ ყველი ეს მატჩი ავსტრიელებმა გამართეს შინ, ვენაში, ხოლო გფრ-ის გუნდმა, რომელიც ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება, თავისი შეხვედრები სტუმრად თამაშობს.

ბეგრს წერდნენ 26 აპრილის მატჩზე ვენაში ავსტრიისა და გფრ-ის ნაკრებს გუნდებს შორის. ავსტრიელებმა გამოთამაზეს უცხოელთნი მოთამაშენ საოკეანეთო ფეხბურთელები და ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: კოსსილია, ობერმაიერი, კრაუსი, პეცეი, ფეგეორგი, ბრუმაჯა, გასელინი (ბაუმგარტნერი), ეიბერი, კინსატი, შანბერი, კრანკლი. მთავან ვენის გაზეთ „ფოლკსშტიმეს" ცნობით, უძლიერესნი იყვნენ კოსსილია, პეცეი, ობერმაიერი, ეიბერი და ბრუმაჯა.

მიმთამხილველებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ავსტრიელები ჯობდნენ სტუმრების და ოცდა გაემარჯვათ კიდეც. „ჩვენს თამაშს ხარვეზი არა ჰქონდა", — „განაცხადა მწვრთნელმა ჰოფმა, „ძალიან საწყენია ესოდენ კარგი თამაშის შემდეგ რომ ვერ გავიმარჯვეთ", — თქვა პეცეიმ. მატს ესწრებოდა გფრ-ის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფ. ბეკენბაეერი, რომლის აზრითაც ავსტრიელთა წარმატება ამ მატჩში სასეანთო დამსახურებული იქნებოდა.

სამბრთა ფეხბურთელებთან მატჩის სამზადისის პერიოდში ე. ჰოფმა ისეკ მოუყარა თავი ყველა საოკეანეთო ოსტატს. მატჩი „პრატერ-შტადიონზე" ავსტრიელებთან, რომლებმაც შესამჩნევად გაიუმჯობესეს თამაში ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, მეტად საინტერესო სანახაობას გვპირდება.

ბ. ბაბრაკელი.

ვენაში...

სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატში 15 მაისიდან 3 ივნისამდე შესვენებაა. IX ტურის შემდეგ გათავსილწინებული იყო 3-კვირიანი პაუზა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრებისთვის, როგორც ცნობილია, 8 მაისს შედგა სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი დინეცკის „შახტიორსა" და ხარკოვის „მეტალისტს" შორის, ამიტომ მათი კალენდარული მატჩები საკავშირო ჩემპიონატში სარეზერვო დღეს 20 იენისს გაიმართება. ამ დღეს ითამაშებენ „დინამო" (კიევი) — „შახტიორი" (დონეცკი), „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), ასე რომ, დაგეგმილი შესვენება X და XI ტურებს შორის არ დარღვეულა.

საკავშირო ჩემპიონატის ამ ანტარქტის დროს დაეგეგმილია საერთაშორისო ოფიციალური შეჯიბრებები და ამხანაგური შეხვედრები:

13-22 მაისი. ინგლისში „დაიწყო ჰაბეკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მატჩები.

15 მაისი. მინსკში შედგა უეფა-ს ტურნირის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის ჰაბეკ ფეხბურთელთა (16 წლამდე) შორის.

17 მაისი. ვენაში გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ავსტრიისა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის.

18 მაისი. ბოლგარეთში (ალოდიცა) შედგება ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ბულგარეთისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის.

21 მაისი. პოლონეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულთა ნაკრები გუნდები პოლონეთში ერთმანეთს შეხვდებიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პროგრამით.

22 მაისი. ხოლეზეს 100-ათასიან სტადიონზე გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პოლონეთისა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის.

26 მაისი. საბჭოთა ოლიმპიელი ფეხბურთელები მოსკოვში მიიღებენ საბერძნეთის გუნდს.

31 მაისი. გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფინეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდებს შორის.

დიამოლა, **1 ივნისს** ფინეთში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფინეთისა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის.

(ინფორმაციებს: სსრ კავშირისსპორტსმენი ასაკის ფეხბურთელთა რამდენიმე ნაკრები გუნდი ჰყავს. 1967-1968 წლებში დაბადებულ ბავშვთა ნაკრებს ხელმძღვანელობს **ვ. ბელოუსოვი.** 1966-67 წლებში დაბადებულთა ჰაბეკ-ებში მწვრთნელ **ა. ბიშოვეცს** ხელმძღვანელობით ითამაშენენ უეფა-ს ტურნირის. 1965-66 წლებში დაბადებული ფეხბურთელები, რომლებსაც წერთნ **ბ. იგნატიევი,** მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებენ. სამბრთა ეიენირი ფეხბურთელები (მწვრთნელი **ნ. ალეფოვი**) ივნისში მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვიან მეშენაში.

არის ოფიციოს ოიენირთა (1964-65 წლებში დაბადებულნი) გუნდიც, რომელსაც წერთნის **ს. მოხოვენი.** ეს გუნდი პოლონელებს უნდა შეხვდეს ევროპის ჩემპიონატის პრიზრანით.

საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებს ხელმძღვანელობს მწვრთნელი **ვ. სალკოვი,** ხოლო სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებისა მოუძღვნის **ვ. ნიკოლაევი.**

რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღებას (ენენტაზია სსრ კავშირის პირველი ნაკრები. დღეს მას მეტად მნიშვნელოვანი საწერაზელი შეხვედრა აქვს ავსტრიელებთან, შემდეგ კი — ევროპის ჩემპიონატის კალენდარული მატჩები პოლონელებთან და ფინელებთან. ასევე საყურადღებოა საბჭოთა ოლიმპიელთა შესარჩევი შეხვედრები. ალბათ ძლიერი მატჩეკი ბულგარეთის ნაკრები, რომელშაც მანამდე ფრედ ითამაშა უნგრელებთან — 1:1 და ანგარიშით 3:1 დაამარცხა საბერძნეთის ნაკრები.

საკავშირო ტელევიზია აწყობს საბჭოთა ფეხბურთელთა მატჩების რეპორტაჟს (გადაცემის დასაწყისი ალინიშნული თვალიოს დროთი):

17 მაისი. ავსტრია — სსრ კავშირი. დასაწყისი 22 საათსა და 35 წუთზე (1 პროგრამა).

18 მაისი. ოლიმპიური მატჩი ბულგარეთი — სსრ კავშირ. დასაწყისი 20 საათზე (I პროგრამა).

22 მაისი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პოლონეთი — სსრ კავშირ. დასაწყისი 20 საათზე (I პროგრამა).

* * *

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის შესვენების პერიოდში თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს ინტერსიური მზადება ეენებათ მომავალი მატჩებისთვის.

დინამოელები საწვრთნელ შეკრებაზე გავეგზავრებიან სოხუმში, ხოლო ტორპედოელები ასეთივე შეკრებას გამართავენ ბათუმის მახლობლად, მწვანე კონცხზე.

მიხეილ თიკანაძე

ქართულმა სპორტმა დიდი დანაკლისი განიცადა — ვარდაცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, შესანიშნავ ქართველ მოგიჯავთა არაერთი ალეფების აღმზრდელი მიხეილ თიკანაძე.

მ. თიკანაძე მოელს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი გამოჩენილი, უოლრესად ცოდნე და სპორტსმათვის თავდადებული სპეციალისტი იყო. მას საამაყოდ გამოჩენილი ფალავანნი, სსრ კავშირის მრავალგზისი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ოლიმპიური თამაშეთის პრიზიორი ვახტანგ ბალავაძის სახელიც ეკუთვნოდა. სწორედ ამ დიდი სპეციალისტის უტაუსრი ალღოსა და ნიჭის წყალობით იქცა ვ. ბალავაძე ლეგენდარიად მოქიდავედ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სარბიელზე ბრწყინვალედ გამოსულნენ ქართველ სპორტსმენს მისი ოსტატობით აღფრთოვანებული ფალავნები მხურვალე ტაშს რომ უკრავდნენ, ეს ტაში მ. თიკანაძისაც ეკუთვნოდა.

მ. თიკანაძე დაიბადა 1902 წელს ყოფილი ოზურგეთის მაზრის (ახლანდელი მახარაძის რაიონი) სოფელ მაკვანეთში. ბაბუკობისას აგვალიძორივ რვაწლიან სკოლაში სწავლობთან ერთად გატაცებით თამაშობდა ლელოსურთს. არასრულს უფიქრია, რომ ბიჭათა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. სკოლას დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. აქვე, 1928 წელს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენი, წარმატებით გამოდის ამბერკალიანის რესპუბლიკის სპორტაკიადებზე და ამარჯვებს ამ ასპარეზობის კომპლექსურ სახეობაში — ბიდაობა, ზტანგა, ტყორცნა. შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს თბილისის სოფლის მეურნეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე აკადემიად მონაწილეობს რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებას მოგიჯავთა კადრების მომზადებას ახმარს და სამუშაოდ გადადის ფიზკულტურის ტექნიკუმში მასწავლებლად. აქ მისი ხელმძღვანელობით დაფრთიანდნენ დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი ბიდაობის სპეციალისტები სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ვარაქელმელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. შეფოლაძე, შემდეგ მ. თიკანაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსებაში, ერთხანს თავად ხელმძღვანელობდა ამ უმაღლესი სასწავლებლის ძალისუნის კათედრას. ეერ შეშობის უფროს მასწავლებლად, ხოლო 1950 წელს ინაბნენა კათედრის გამგედ, რომელსაც ორი წელიწად ედგა სათავეში.

1952 წელს სამშობიარ გადადის „დინამოს" რესპუბლიკურ სპორტში, სადაც მას უფროს მწვრთნელად ნიშნავენ, ეს წლები ძალზე საყოფილი აღმოჩნდა მისი მოწყვეტებისათვის. სწორედ ამ პერიოდში ალაპარაკა ბიდაობის სამყარო ვახტანგ ბალავაძემ, რომელსაც მბარს უმშვენებენენ შესანიშნავი მოქიდავეები სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები ვ. არსენაანი, ვ. ბიდაძე, ა. მაისურაძე, ზ. ბენტოშვილი, ა. ბელიძე, შემდეგ კი ტ. ალიბეგაშვილი, ს. ქარსოველიძე და მრავალი სხვა.

1957 წელს მ. თიკანაძე კლავე უბარუნდება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალისნობის კათედრას. ეს პერიოდი ქართველი თავისუფალი სტილით მოქიდავეთა „ოქროს ხანად" შეიძლება ჩაითვალოს. მცირედი მწვრთნელის ხელმძღვანელობით რესპუბლიკას ნაკრები ჰყავდა ჩვენი ქვეყნის თითქმის უცვლელი გამარჯვებულთა გუნდურ პირველობაში. იმ წლებში ქართველი ფალავნები კი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის არაერთგზის ჩემპიონები. 1972 წელიდან მ. თიკანაძე, როგორც დირექტორი, ნაყოფიერ მუშაობას ეწევდა ბიდაობის რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაში.

მან თავისი ანგარძლვეი სიცოცხლის 55 წელი ჩვენს რესპუბლიკაში ბიდაობის განვითარების საქმეს მოახმარა, უოლრესად პატიოსნად და უანარიანად ხელმძღვანელობდა ჩვენი ფალავნების გამოსვლებს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ამ წარმატებებისათვის მისთვის ნაკადო სპორტული წოდებების მინიჭებასთან ერთად დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენთა და სხვადასხვა მედალით.

მ. თიკანაძე გამოირჩეოდა ბაოცარი ადამიანური სითბოთი და სიკეთით. თავისი ერის დიდი პატრიოტი ამ სიტყვის და სიკეთეს უშრეტელად ბარჯავდა, ფალავნებად ბადაცემდა თავის მოწაფეებს და ნამდვილ მოკალაქეებად ზრდიდა მათ.

ჭვავდა ჩვენგან ამაგდარი მწვრთნელი და სპეციალისტი. ნიადაგ მოფუსფუსე, სახეგანაბი და გაურული ოემორით დამშვენებული ბულთაანი მოსაუბრე და მოოკვანი დამრიგებელი. ახეთი დარჩება იგი თავისი მოწაფეებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საპატრიოტიო სპორტკომიტეტი, თბილისუფალი, კლასიკური ბიდაობის, ქიუდოს, საბჭოს ფეხბურთის ფედერაციები, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო, ბიდაობის უფალლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლა.

გამოთხოვება

დღეს, როცა ეემშვიდობებით მიხეილ თიკანაძეს, მოგონებანი წამოგვეშალა ყველს,-ვისაც რამე ურთიერთობა გვქონია ამ შეუსანაცვალ ადამიანთან. ყველაზე მეტი გასახსენებელი მე, მის მოწაფეს მაქვს.

ჩვენი პირველი შეხვედრა ერთიან უჩვეულო ვითარებაში მოხდა, — 1948 წელს, თბილისური ოქროს შემოდგომის დღეს „დინამოს" სტადიონზე ფიზკულტურის ინსტიტუტის ერთ-ერთი ჯგუფის აკადემიური გაკვეთილი მიმდინარეობდა ქართველ ბიდაობაში. იმხანად ფეხბურთი მიტაკეცდა და სასწავლებლის გუნდშიც ვირიცეზიდი, ბიდაობას კი ისე, სხვათა შორის ეეუყურებდი. და აი, ეიდაგიგმა თიკანაძემ ხალიჩაზე მახმო. ჩემს მეტოქეს ადვილად გაეუმკლავდი, მაგრამ ამისთვის არაერთი უძლიერესი მოუხდავე გამოზარდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი უნარი კოლექტივის ფსიქოლოგიურად მომზადების საქმეში. ერთიანად საბრძოლველად გაბაკუნობდა ბიჭებს. კარგად მახსოვს ჩვენი რესპუბლიკის მოკიდავეთა 1965 წლის ტურნეკ ეეუბრეთაში. საქმე ის იყო, რომ ჩვენი მასპინძლები ტოკიოს ოლიმპიადის გამარჯვებულები იყვნენ ეუნდურ პირველობაში და აი, ასეთ ძლიერ მეტოქესთან საქართველოს ნაკრებმა რამდენიმე შეხვედრა გამართა და ძალზე საპატიო გამარჯვებები მოიპოვა.

მიხეილ თიკანაძემ ნამდვილი მამეულმოვლის გზა გაბედა. უმჯობესად და პირნათლად ემსახურა საქართველოსა. ფეხბურთლებსა და სპორტის დაენერგა-ეახეთთარებს საქმეს.

შვიდეიმეთ, ჩვენო ამაგდარო მასწავლებელო და აღმზრდელო!

ვახტანგ ბალავაძე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

ევროპის ჩემპიონატი

ბასეთ კვირას გაიმართა ევროპის ჩემპიონატის 4 შესარჩევი მატჩი.

III ჯგუფი

უნგრელმა ფეხბურთელებმა ბოდაიეზში მიიღეს საბერძნეთის გუნდი და მოუოლნელი მარცხი ოწვნეს — 2:3.

გათამაშების ცხრილი ამ ჯგუფში სალიეისოდ ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ჯ.
ინგლისი	5	3	2	0	16—2 8
დანია	3	2	1	0	5—3 5
საბერძნეთი	5	2	1	2	5—6 5
უნგრეთი	4	2	0	2	14—9 4
ლუქსემბურგი	5	0	0	5	5—25 0

V ჯგუფი

დიდ ინტერესს იწვევდა შესარჩევი მატჩი რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. რუმინელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი განიცადეს — 0:1.

შეეკიოს ნაკრებმა შინ დიდი ანგარიშით მოიგო „კიპროსის" გუნდს — 5:0.

ჩეხოსლოვაკია	5	2	3	0	12—5 7
რუმინეთი	5	3	1	1	6—2 7
შვეიცარია	4	2	1	1	8—4 5
იტალია	4	0	3	1	3—4 3
კიპროსი	6	0	2	4	3—17 2

VII ჯგუფი

მალტასა და ესპანეთის გუნდებს შეხვედრაში მოელოდნენ ესპანელთა ოთო წარმატებას, მაგრამ მალტელებმა საკუთარ მინდორზე თავგანმოდებით იბრძოლეს და. მხოლოდ მინიმალური სხვაობით წაადეს — 2:3.

ესპანეთი	5	4	1	0	10—5 9
პოლონეთი	4	2	1	1	9—3 5
ირლანდია	5	2	1	2	7—7 5
მალტა	4	1	0	3	4—11 2
ისლანდია	4	0	1	3	2—6 1

მინსკელები — აშშ-ში

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ჩემპიონი — მინსკის „დინამოს" კოლექტივი. მინსკელები პირველი შეხვედრა ჭკნინდან კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეში ადგილობრივ „გოლდენ ბეისთან". მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

მეორე მარცხი

ინგლისში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჰაბეკ ფეხბურთელთა შორის.

სამშთა ნაკრები შოტლანდიელებთან პირველი მარცხის შემდეგ (0:3) შეხვდა ესპანელებს და კვლავ დამარცხდა — 0:1.

ამავე ჯგუფის სხვა მონაწილეებმა — ინგლისელებმა და შოტლანდიელებმა ითამაშეს ერთმანეთთან. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს ინგლისელებმა.

„ლელოს“ პრიზზე

რაგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისში მიმდინარეობს მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი ფარიკაობაში გაზეთი „ლელოს“ პრიზზე. დამთავრდა რაბრირით და ხმლით მოფაფრაკვეი ბიჭების ასპარეზობები. რაბრირისტთა შორის I ადგილზე გავიდა ვ. პალამარჩუკი (ყიმინოვი), II — ნ. ნოეკუბიძე, III — გ. დავითაშვილი (ორივე — საქართველო).

ხმლით მოფაფრაკვეიათა შორის თავი ისახელა 14 წლის კახა მახარაძემ (მასვე გადაეცა ტურნირის ნორჩი მონაწილისათვის დაწესებული შოთა დარასეულის სახელობის პრიზი). II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს ლ. ოსიპოვმ და ა. მახარაძემ (ყველა —საქართველო).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა:

ხმალი: I — საქართველო, II—თბილისი, III — ქუთაისი.

რაპირა: I — ორჯონიკიძე, II—ყიმინოვი, III — საქართველო.

ორი სახეობის შემდეგ ლიდერობს საქართველოს მოფაფრაკვეიათა ნაკრები (162 ქულა), II ადგილზეა თბილისი (110), III — ყიმინოვი (95).

ნ. მირიანაშვილი.



შიჯალეტარის ინსტიტუტის აუზში ვარჯიშობენ „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მოსწავლეები. ისინი ემზადებიან იმ საკავშირო ღია ტურნირისთვის, რომელიც წლეულს მოსკოვში გაიმართება.

ს ტ ა ნ ი ს ლ ე ბ ზ ე: მწვრთნელ ჯ. კინწურაშვილის მითითებებს გულისყურით უსმენენ ნორჩი ფალავანი ბერიკა ბადაშია; ბერიკა ბადეშია; შეტევაზეა გია ტაბიძე.

ხ. ვართანესოვის ფოტოები.

● ᲙᲘᲣᲓᲝ

პარიზის ტატამზე

საფრანგეთის დედაქალაქში მიმდინარე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე მიაღწიეს ხ. ტლეცერმა (60 კგ) ზედაზედ მეორე მოპოვება ევროპის ჩემპიონის ტიტული — მოიგო ოთხივე შეხვედრა, ფინალში კი სძლია პოლონელ ა. ძეძიანოს. III ადგილზე გავიდნენ კ.-ბ. შტოლბერგი (დერ) და პ. ოუკე (გფრ).

65 კგ წონით კატეგორიაში უძლეველი იყო ტ. რეი (საფრანგეთი), მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებული ლ. სოლოდუხინი ბრონეოს პრიზიორი გახდა.

71 კგ წონაში ფინალში სპორტსმენმა რ. მელიომ ისახელა თავი. მაკიპული მ. პარხეევი ბრძოლას წინასწარ შეხვედრებში გამოვიმა.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, რომელშიც ნებისმიერი წონის ათლეტს შეუძლია ასპარეზობა, მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, ჩეხოსლოვაკელმა გ. ვერჩიეგმა და ფინელმა ი. სალონენმა ბრონეოს მედლები მოიპოვეს. მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებულმა 95 კგ-ზე ზევით წონაში ფრანგმა ა. პარიზმ ფინალში დაამარცხა ოლიმპიადა-80-ის გამარჯვებული 95 კგ წონაში ბელგიელი რ. ვან დე ვალე და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

მანამდე უძლიერესის ტიტული დაიმსახურეს მინსკელმა ვ. პეტსიო�a (86), ბრონსკელმა ვ. დიესეკერმ (95) და კუბიაშვილმა ხ. ბიკტაშვილმა (95 კგ-ს ზევით). ამრიგად, 8 საბჭოთა სპორტსმენიდან ოთხი შინ ოქროს, ხოლო სამი ბრონეოს მედლით დაბრუნდა.

მონაწილეები ასე დაფშვნდნენ ერთმანეთს: „ოქტომბერში მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე შეხვედრამდე!“ მაგრამ ზოგიერთები საბჭოთა დედაქალაქს ივლაშიც ეწვევიან, ისინი მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაში.

● ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝᲚᲘ

ᲛᲔᲒᲝᲖᲠᲝᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲔᲠᲗᲓᲦᲔᲚᲘᲐᲜᲘ შესვენების შემდეგ გეორგიევკაის ტრაქტორის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ტურნირს, რომელიც თბილისში ტარდება, მომდევარ VII ტურის შეხვედრები გაიმართა.

პარტიები მხოლოდ ეფორეგაღებმა დამთავრეს. თამაში დაიწყო და ზ. აზმაიფარაშვილს, ეგა —ეგელერს. გადადიდო ე. უბილავა — ბ. გეურეხინისა და ვ. ბუფფულ-ზ. სტურუას პარტიები. ამ დღეს არ უთამაშია ბ. ზაინაკს.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ თ. ეიორეაძე — 4,5 ქულა, ზ. აზმაიფარაშვილი — 3,5 და ზ. სტურუა — 3 (2).

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝᲚᲘ

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

● ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲣᲜᲘ-ᲐᲜᲯᲔᲚᲘᲜᲐ დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება წყალბურთელთა გუნდებს შორის. ოლიმპიადა-80-ის ჩემპიონებმა საბჭოთა წყალბურთელებმა დაამარცხეს გფრ-ის გუნდი 6:5 და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს სასპორტო ჯილდო. გადამწყვეტი ბურთი შეხვედრის უკანასკნელ წამებში გაიტანა ბ. ბუგეხერაძემ, მეორე ადგილზე გავიდა გფრ-ის გუნდი, ხოლო მესამე ადგილისათვის ბრძოლაში იტალიელებმა დაამარცხეს კუბელები — 8:7.

● ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ვწერდით, რომ ევროპის მოკრივეთა პირველობის ფინალი იმ მატჩად იქცევა ხოლმე, სადაც რინგის ერთ კუთხეში უმტესად სსრ კავშირის წარმომადგენლები დგებიან, მოპაოდაირეში კი „მოცალი ევროპის“ სპორტსმენები. ასეთი სეფაო გამმეორდა აჭარად ვარსის სარბაელზეც, სადაც გადამწყვეტ ბრძოლებში უძლიერესს სახელისათვის რვა საბჭოთა მოკრივე იბრძოდა და რვავე ოქროს მედლები მოიპოვა. ესენი არიან — მსოფლიო ჩემპიონები: ნევენომისაული ი. ალექსანდროვი (54 კგ) და დონეცკელი ა. იაკუბკინი (71), კონტინენტის ზარშაგდელი ჩემპიონი კუბიშეველი ვ. შიშოვი (63,5), ევროპის პრიზორი ყარაგანდელი ხ. ნოტკაზოვი (57). აგრეთვე პირველობის დებიუტანტები ჩელიბინსკელი პ. ბალკინი (67), ჩეზოსლოველი ვ. ლაპტეი (71), მისი თანამკალეელი ვ. მელნიკი (75) და კიეველი ვ. კაჩანოვსკი (81). გარდა ამისა, საბჭოთა გუნდის ყველაზე კოდეკ ოთხი „ბრონეჯოა“.

დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ ბულგარელი ათლეტები — მოსკოველ ოლიმპიადის გამარჯვებული ს. ლესოვი (51), მსოფლიო ჩემპიონი ი. მოსტაფოვი (49) და ე. ჩუპრესკი (60), აგრეთვე მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზორი იტალიელი ფ. დამიანი (91 კგ-ს ზევით).

● ᲕᲔᲚᲝᲡᲐᲠᲢᲐᲠᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲦᲘᲡᲘ 36-ე მრავალდღიანი ველორბოლის ყველაზე დიდი ეტაპი იყო ბერლინი — გალე (202 კმ), რომელიც მასპინძელი მრბოლე უ. რაბის გამარჯვებით აღინიშნა. მისი შედეგია 4:41,17 წამი. ფინიშთან მეორე იყო მისი თანგუნდელი ო. ლუდვიგი, მესამე ბულგარელი მრბოლი ვ. ხუბენოვი, რომლებიც გამარჯვებულს შესაბამისად 4 და 7 წამით ჩამორჩნენ. საბჭოთა მრბოლები, ტარტუელი რ. სუუნი და ოთენელი ო. ჩოკაძე მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გამოვიდნენ.

ველორბოლის მეშვიდე ეტაპი დამაჯერებლად მოიგო გფრ-ს გუნდის კაპიტანმა ო. ლუდვიგმა. ამ ჭეშმარიტ სპორტსმენებმა აგრეთვე გაიმარჯვეს გუნდურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის ნაკრებს ახლა 4 წუთითა და 24 წამით უსწრებენ.

პირად პირველობაში კვლავ საბჭოთა სპორტსმენი ო. ჩოკაძე ლიდერობს.

● ᲤᲠᲔᲜᲒᲝᲠᲗᲘ

ᲜᲐᲒᲝᲛᲘᲐᲨᲘ სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა ბოლო მეექვსე საერთაშორისო მატჩი გამართა იაპონიის ეროვნულ ნაკრებთან. გამიმარჯვეს მასპინძლებმა 3:2. საბჭოთა ფრენბურთელებმა ექვსი შეხვედრა გამართეს იაპონიაში და ყველა წააგეს.

● ᲠᲔᲒᲑᲘ

ᲒᲣᲜᲓᲘᲜᲘᲜᲘ კიევში შედგა ევროპის ჩემპიონატის მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გამიმარჯვეს რუმინელებმა 15:10 (7:3). მათ მეხუთედ მოიპოვეს ოქროს მედლები. ვერცხლისა და ბრონეოს მედლების ბედი გადაწყდება სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების მატჩში, რომელიც 22 მაისს გაიმართება.

● ᲛᲫᲚᲝᲜᲝᲑᲐ

ᲗᲕᲐ აზიის რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის მძლეოსნთა ს